[გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა]

ინტერლოგი

ჰოი მკითხველო, ჯერ შეიცადე ვიდრე წინ წახვალ, მათქმევინე ორიოდ სიტყვა: თუკი მართალია ის ამბავი, რომ ხელნაწერები არ იწვიან, მაშინ ისიც სავარაუდო უნდა იყოს, რომ არც ჩვენი "ნაცოდვილარი" დაიწვებოდა იმ დღეს, სანაგვეზე და გაქრებოდა უკვალოდ. ასე რომ, ვინ იცის სად, როდის ან რისთვის იჩენს იგი თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა აზრი ექნებოდა ამ ექსპერიმენტს? ხოლო, თუ მკითხავთ – "მაინც რა აიძულებს ადამიანს წერას, ან სულაც რა ძალა გედგაო?" – ალალად გიპასუხებთ, რომ არ ვიცი. თუმცა კი, თავს იმით მაინც ვიმართლებ, რომ წერა სახალისო საქმიანობად მიმაჩნია და იმ ზელიმხანის თამაშს მაინც მირჩევნია…

– 5 თავი

გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც საკუთარ თავთან საუბრობთ, ოღონდ მხოლოდ აზრობრივად, უსიტყვოდ? თუკი ასეა, მაშინ ადამიანთა იმ რიცხვს ეკუთვნით, რომელთაც შინაგანი ხმა ჰქონია. თუნდაც ამ წიგნის წაკითხვისას, განა ასეთ ხმას არ უსმენთ, რომელიც თითქოს ამ ტექსტს გიკითხავთ? უცნაურია, მაგრამ ამბობენ – ისეთი ხალხიც არსებობს, ვისაც ასეთი რამ არასოდეს გამოუცდიაო. ვინ იცის, ნეტავი როგორი იქნებოდა ადამიანის ცხოვრება, ამ უნარის გარეშე. ჰოდა მარგარიტაც, თავისი სასტუმრო ოთახის საწოლზე, საკუთარ თავს ფიქრებში, აი ასე ესაუბრებობდა:

„ დიახ, იმ ორი კვერცხით მომინდომა საწოლში საუზმობა. აქამდე ასეთი რამ თავში არავის მოსვლია. ალბათ ეს ადრეც გაუკეთებია. რათქმაუნდა ეს სიყვარული არაა, თორემ საუზმის თავი სად ექნებოდა. ყველა კაცი ერთნაირია, ერთი ქალი არასდროს ყოფნით. ეს ნებისმიერ ქალს გამოიყვანს წყობილებიდან, მაგრამ მაინც ჯობია თავი მოიკატუნო, მერე კი სულერთია. რატომ არ შეიძლება მხოლოდ

კოცნით რომ შემოიფარგლო? თუმცა ზოგჯერ ისეთი სურვილი შეგიპყრობს, რომ რა ქნა არღარ იცი. მაგრამ, პირველი კოცნა მაინც სულ სხვაა. ოღონდ აღსარება არა – ის ბებერი კარიგანი არ გამახსენოთ, ხელი რომ მომითათუნა წმინდა მამაომ. მე კი სულელივით გავიქეცი და ნამდვილ მამაზე ვფიქრობდი, რომლისთვისაც სულ ერთი იყო – მე ხომ აღსარება ჩავაბარე!? საინტერესოა თუ ვახსოვარ… მე მას ვხედავდი ის კი მე – ვერა. ნეტა თუ აღეგზნო, როცა შემეხო – თითქოს ჯიშიანი ცხენი ვყოფილიყავი. იქნებ ამ წუთსაც ვესიზმრები? ისინი კი ამტკიცებენ ღმერთი არ არსებობსო. საინტერესოა, რა იქნებოდა ეს რომ გაეგო? ის ხომ ეკლესიაში არასოდეს დადის? ამბობენ, ადამიანს შიგნით სული კი არა, მხოლოდ ბლანტი მასა გვაქვსო.

ადრე ასეთი არავინ შემხვედრია. ხმა კი მართლაც მომხიბვლელი ჰქონდა. ცხვირკი კი არც ისე დიდი. ნეტავ ვინ შეგვქმნა ასეთებად? რა კარგადაა მოფიქრებული ეს ყველაფერი: მთელი სიამოვნება ქალს ერგება ხოლმე. ისინი კი ამას ვერც ხვდებიან. რათქმაუნდა, ჩემნაირს სადღა იშოვის. მე კი მომწონდა თავი როგორ ეჭირა, ვითომ მილიონი ვარდი რომ მომართვა, მაგრამ ვერაფერი მოფერება ცოდნია. ალბათ რა სასაცილოდ გამოვიყურებოდი. ისე მგონი პირიქით ჯობდა. აბა მაგათ რას გაუგებ. ნეტავი როგორი საცვლები მოსწონს? ალბათ სულერთია… ამბობენ, გიბრალტარში ქალები, საერთოდ არც ატარებენო – ისე დადიან, როგორც ღმერთმა შექმნაო. ეს, ორი ერთნაირი რაღა საჭიროა? ვითომ ტყუპებისთვის, თუ უფრო სილამაზისთვის, როგორც მუზეუმებშია ხოლმე. ისეთი ლამაზები არიან! რათქმაუნდა კაცებს არ ვგულისხმობ, კომბოსტოს ფოთოლი რომ აქვთ აფარებული. ნუთუ არ ეშინიათ სადმე წაიმტვრიონ?

მადლობა ღმერთს, ის სხვებს არ ჰგავდა. ახლაც ვგრძნობ მის ტუჩებს. არც ბევრს ლაპარაკობდა. ნეტავ ახლა აქ იყოს, ან იქნებ დამესიზმროს მაინც. რა კარგი იქნებოდა სასიყვარულო წერილი რომ მიმეღო. პასუხს საწოლშივე დავწერდი. რა იქნებოდა რომ არ მოვწონებოდი? ხმა და ფიგურა დედის გამომყვა… დარწმუნებული ვარ, შემიძლია პრიმადონაც გავხდე. ამას კიდევ საუზმე მიართვი

საწილში. ქორწინებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთს, ქმარსაც ვერ უწოდებ. მაინც რა არიან ეს მხატვრები – ქალი თუ არ დახატეს არ შეუძლიათ. იმათ სულ არ ჰგავს, მე რომ მინახავს, მარსელის სანაპიროზე გარუჯულები, წყალში რომ ყვინთავენ და ღმერთებივით ლამაზები არიან. რატომ არაა ყველა კაცი ისეთი, როგორც ის ქანდაკებები – მუზეუმებში? მთელი დღე შემიძლია ვუყურო და ვკოცნო თხემით ტერფამდე. აი ნამდვილი სილამაზე! ესენი კი, დაბანაზეც არ ფიქრობენ. ამის გამო კი ქალებს, ულვაში ეზრდებათ. რა კარგი იქნებოდა ნამდვილ პოეტს შევხვედროდი. მერე ის ამ სიყვარულზე დაწერდა. ჩვენს ფოტოებს კი, გაზეთში გამოაქვეყნებდნენ და ცნობილებიც გავხდებოდით. ისე, მათიც მესმის: ჩვენგან ისეთ სიამოვნებას იღებენ, ზოგჯერ მათ ადგილზე ყოფნაც მოგინდება. მათთვის ყველაფერი შეიძლება, ჩვენ კი ერთზე უნდა ვიყოთ მიჯაჭვული. მაგრამ ჩემთან ეს არ გამოვა. რატომ არ შეიძლება მეგობრობით შემოვიფარლოთ? რისთვის გვეძლევა ეს სურვილები, ვერ გამიგია და მაინც, ყველა ქალს უნდა დღეში ოცჯერ მაინც მოეფერონ, თავი ახალგაზრდულად რომ იგრძნოს და სულერთია ვინ, ოღონდ სიყვარული იყოს!

ღმერთო, სიყმაწვილეში რამდენჯერ მინატრია გაქცევა, ვინმე მეზღვაურთან ერთად იქ, სადაც არავინ მიცნობს. ამბობენ, მეზღვაურთა ნახევარს საშინელი დაავადება აქვსო. ანდა ესმერალდას ბოშათაგან რომელიმეს გადავყროდი. სადაც სამართალია, ქვეყანას ქალები უნდა მართავდნენ. რა საწყენია შვილი რომ არ მყავს, მაგრამ რა ჩემი ბრალია... რათქმაუნდა ქალი ამისთვისაა შექმნილი და მგონი, ყველა ასე ფიქრობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ სილამაზეს რატომ დაგვაბერტყავდა ღმერთი? ისინი კი, გაიძახიან ღმერთი არ არსებობსო. გროშია ამათი ფასი! მერე, სასიკვდილო სარეცელზე მამაოს უხმობენ, იმიტომ რომ ჯოჯოხეთის ეშინიათ. მაშინ გვითხრან, ვინ იყო ის პირველი, ვინც შექმნა ეს ყველაფერი!? აი, ამაზე პასუხი კი არ აქვთ. აბა სცადონ და მზის ამოსვლა შეაჩერონ! მზე თქვენთვის ანათებსო მეუბნებოდა, იქ სანაპიროზე. ასე ლამაზად არავის უთქვამს. ღმერთო რა დრო გავიდა, ახლანდელივით მაშინაც ნაკიანი წელიწადი იყო. ის, ღია ფერის პიჯაკსა და ჩალის ქუდში იყო გამოწყობილი. იმ პირველი

კოცნის გამო, კინაღამ დავიხრჩე. ვგრძნობდი, რომ მან ზუსტად იცის ქალის ფასი. მეც მთელი გრძნობით მივენდე და ისიც არ მომეშვა, სანამ არ მათქმევინა – დიახ! ”

– 4 თავი

ასე, გარინდებული დადიოდა მარგარიტა მთელს ზაფხულს. ცხოვრების ჩვეული რიტმი აშლილი ჰქონდა. დაქანცულს, სიცოცხლით ტკბობის უნარი წართმეოდა. მისი მდგომარეობა დღითი დღე უნუგეშო ხდებოდა. ძველ გატაცებებსა და მეგობრებს, სიხარული აღარ მოჰქონდათ. ასე უიმედოდ არასდროს ყოფილა. დრო და დრო სახლში დაბრუნებაზეც ფიქრობდა. მაგრამ, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან იმ ზაფხულს, ავსტრო-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს, რომელშიც, ერთი მეორეს მიყოლებით ჩაებნენ გერმანია, რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი და პირველი მსოფლიო ომიც დაიწყო.

აქ კი, კავკასიის მთების ჩრდილში, მართალია ჯერ მშვიდობაც იყო და ზაფხულიც ნამდვილი, მაგრამ მაინც დაძაბულობა იგრძნობოდა. როგორც ამბობენ: ზედა ფენებს აღარ შეეძლოთ, ქვედას კი აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება. მატულობდა უკმაყოფილება. გახშირდა რევოლუციური მოწოდებები. ბუნტი, დივერსიეა, საბოტაჟი ჩვეულებრივ ამბად იქცა. ხალხიც გაღატაკდა და აღარც ”ბელე ვუში” მიდიოდა საქმეები მთლად კაგრად. ქველმოქმედება არტისტებისთვის, ახლა უკვე აუცილებელი იყო. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყდა, ღარიბ მოსწავლე ქალთა სასარგებლოდ, წარმოდგენის გამართვა.

ეს ამბავიც უბრალოდ და მოულოდნელად მოხდა. პირველივე სახლს რომელშიც მარგარიტა შევიდა – ”ივერია” ეწერა. რედაქციას ჰგავდა, საიდანაც ხალხი სადღაც დაფანტულიყო. კორიდორი გაიარა და ბოლოს, ვრცელ ოთახში ერთად-ერთი ადამიანი აღმოაჩინა, რომელიც მატროდ-მატრო იჯდა და გაქანებული რაღაცას სწერდა. ეს იყო ყვავილივით ნაზი, ნატიფი აღნაგობის, მაგრამ გამხდარი და გაძვალტყავებული, ბეცი და მელოტი, მწიგნობრობით დაღლილი კაცი. ზედ

ეტყობოდა, რომ თვალწინ მას მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გაჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი.

მარგარიტაც თავს წაადაგა თუ არა, კეკლუცად ბილეთი გაუწოდა:

– გთხოვთ, ბილეთი იყიდოთ.

– ბილეთი? რა ბილეთი? რისთვის?

– წარმოდგენას ვმართავთ ღარიბ მოსწავლე ქალთა სასარგებლოდ.

– დაბრძანდით.

– თქვენც უნდა დაგვეხმაროთ.

– დიდის სიამოვნებით.

და კაცმა ქალს რედაქციაში ხუთიოდე ბილეთი გაუყიდა და უთხრა:

– თუ ნებას მომცემთ, ბანკშიც წამოგყვებით, ბილეთებს გაგიყიდით.

ასე სდია სადილობამდე და თან ეუბნებოდა:

– ახლა დრამატიულ საზოგადოებაში წავიდეთ. ახლა, წერა-კითხვის საზოგადოებაში.

ბოლოს, ქალს ვინაობაც ჰკითხა:

– თქვენი სახელი?

– მარგარიტა.

და თვითონაც წარუდგა:

– მე კი მურთაზი გახლავართ.

ამ მოულოდნელმა შემთხვევამ, ორივეს გულზე უბწკინა და ორივე, ერთმა იდუმალმა აზრმა გაიტაცა. კიდევ ორი საათი იარეს. მარგო მხოლოდ ახლა დააკვირდა მურთაზის ტანისამოსს, იერს, მიხვრა-მოხვრას და გაიფიქრა:

”დაკვირვებული თვალი უმალ შეატყობს ამ კაცს ჯიშსა და აღზრდას. სადა და სუფთა ტანისამოსი, მარტივი და ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა, თავდაჭერილი სიტყვა-პასუხი, ზომიერი თავმოყვარეობა, მოკრძალებული მორცხვობა, თავით-ფეხებამდე ნატიფი გემოვნება და ოდნავ შესამჩნევი არშიყობა. სწორედ ის არის, ვინც მჭირდება!”

იმ საღამოს მურთაზი, ”ბელე ვუში” იყო და მარგოს კუდივით დასდევდა. ხოლო ორი კვირის შემდეგ, ერთ მთვარიან საღამოს დრო იხელთა და მუშტაიდის ხეივანში ასე აბორძიკდა:

– ერთი რამ უნდა მოგახსენოთ. ყური მიგდეთ. ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია. მარტოხელა კაცი ვარ… ერთი სიტყვით… მე თქვენ მიყვარხართ… თუ თქვენც მოგწონვართ… მოიფიქრეთ... ნუ აჩქარდებით.

თუმცა ზაფხულის ღამე იყო, ცაში სიყვარულით გაბრუებული მთვარე დაბარბაცებდა, ჰაერიც ვნების სიცხით იწვოდა, მდინარეც გაუგებრობას ბოდავდა და ყოველი სულიერიც უცნაური გრძნობით იყო მთვრალი – მარგარიტა მაინც არ აჩქარდა. მაგრამ მეორე დღეს, მთვრალმა მთვარემ მაინც თავისი გაიტანა და წყვილი ერთმანეთს ჩაახუტა.

მურთაზმა მარგო, მამა-პაპისეულ მამულში წაიყვანა, ნათესავებს გააცნო და თავის კოშკიც აჩვენა. ძველმა ციხე-დარბაზმა, საგვარეულო საგანძურმა და ბაღ-ვენახმა, მარგო აღტაცებაში მოიყვანა და მისი გული, გამოჩენილი ქმრის გულს უფრო მიაბა. ქორწილმა სამ დღე-ღამეს გასტანა. მოლოცვას და მოლხენას ბოლო არ უჩანდა. სადილი სადილს მოსდევდა, ვახშამი – ვახშამს. გლეხები საქმეს სცდებოდნენ და მურთაზის ქვევრებს ვეღარ ელეოდნენ. უძილობით და სიყვარულით მთვრალი მარგარიტა, ლასლასით დადიოდა და სტუმრებს უმასპინძლდებოდა:

”არ მოიწყინოთ, მიირთვით, იმხიარულეთ!”

მურთაზის ყოფილი ლაქია – ჟაკო, ხომ თავისი კანიდან ამოვარდა და კალაპოტში ვეღარ ჩავარდა. ცისმარე დღიდან ხან ბაღს, ხან ეზოს, ხან ვენახს, ხან მარანსა და ხან კიდევ, ძველ დარბაზს მისი ხმა ეფინებოდა. მარგოს რომ თვალს მოჰკრავდა, თოვლივით დადნებოდა და ფეხქვეშ ეგებოდა. ეს ჟაკო, დიდი საცოდავი ვინმე იყო. უთვისტომო და უცნაურად მოუბარი, ცვედანი და ტაკიმასხარა, მდუღარეთი

დაფუფქულ ქათამს ჰგავდა. პატარა ვირთხის თვალებს, ჯაგარივით წითური წარბები ჩამოფარებოდა. სახე მეჭეჭებით ჰქონდა სავსე. უსწორმასწორო, ჩამტვრეული და მეჩხერი კბილები, კოშკის ქონგურებს მიუგავდა. გახეთქილ და დაკოჟრილ ტუჩზე ძაღლის ეშვისებრი ღორჯი მოუჩანდა. ნიკაპი ორად ჰქონდა გაპობილი და ერთთავად ყარდა. მის დაჭყლეტილ სახეზე ერთდროულად, გაოცება, სევდა და ჭკუასუსტობა იხატებოდა. გასაკვირი იქნებოდა, ასეთი ურჩხული, კოშმარულ სიზმარში რომ არ გამოცხადებოდა საბრალო მარგოს, ჰოდა ესიზმრა კიდეც, ერთ ღამეს:

ვითომ ბნელი და თბილი ღამეა. მთის ნიავი ჭალას აშრიალებს. მდინარე შხუის. შორიდან ხანდახან ტურის ჩხავილი და ჭოტის კივილი მოისმის. სადღაც ძაღლიც ყეფს. იქვე ჭალაში ღამის ფრინველი ფრთხიალებს. სადღაც შორს თოფმაც დაიქუხა. მერე ყოველივე შესწყდა და გაინაბა. მხოლოდ ძაღლმა უმატა წკმუტუნს. ნიავიც გაძლიერდა. ისედაც ბნელ ფარდულში მუქი ჩრდილი ჩამოწვა. ეს, ჟაკო მოფორთხავდა ოთხზე. ის, სულ უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა და დათვივით მძიმედ სუნთქავდა. დაუნდობლად თელავდა, ძვლებს უმტვრევდა, ყურძნის მტევანივით ჭყლეტდა მარგოს. დაფეთებული მარგარიტა, იტანჯებოდა, უნდოდა ეყვირა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. ნაცემი, ნაბეგვი, გასრესილი, ცხელი ცრემლით გლოვობდა, ბორგავდა, სიმწარისაგან იკლაკნებოდა, ბავშვივით სლუკუნებდა და ძილში ბოდავდა.

ერთი კვირის შემდეგ მურთაზი აცქმუტდა:

– უნდა წავიდეთ ქალაქში, ჩემო მარგუში. თორემ ათასი გადაუდებელი საქმე მაქვს.

– ისეთი რა საქმე გაქვს, რომ ორიოდე კვირაც ვეღარ მოიცადე შენს მამულში?

– ათასი საქმე მაქვს. ვინ იცის, როგორ მიდის გაზეთი, ჩვენი საზოგადოება. ერთი სიტყვით, უჩემოდ ყველაფერი დაინგრევა.

– შენ იცი.

– აქ რაღაა საიმისო?

– მშვენიერი ბუნება, მშვიდობა და შენ.

– მე, ქალაქშიც შენი ვიქნები, ჩემო მეგობარო.

– არა, ქალაქში ჩემთვის ვეღარ მოიცლი. აქამდე კვირაში ერთხელ ძლივს შემოივლიდი. ვიცი, რომ ახლაც ისე გაგიტაცებს საქმე, რომ დაგავიწყდები. მე კი მინდა, რომ შენ სულ ჩემს გვერდით იყო – აი ასე! და მურთაზი დადნა მარგოს ალერსში, მაგრამ გულმა მაინც ვერ მოუთმინა. მესამე დღეს, კვლავ ქალაქისაკენ გამსიწია და მარგოც გამოიყოლა. აქამდე მარგარიტაც, მურთაზივით ფუსფუსებდა, ქველმოქმედებდა და ბედნიერებას ლამობდა. მაგრამ, როცა გათხოვდა და ხანში შევიდა, ნელ-ნელა დამშვიდდა და დაწყნარდა. კნეინას მუდამ, სამიოდე მოახლე თან ჰყავდა, ამიტომ იგი მალე უსაქმურობამ ჩაითრია.

თუ მურთაზი, დღეში ყელა გაზეთს არ წაიკითხავდა, ის დღე მისთვის დაკარგული იყო. გაახელდა თუ არა თვალს, უმალ გაზეთებს დასწვდებოდა. ჭამა-სმის დროსაც, ცალი თვალი გაზეთზე ეჭირა. სადილს ისე დაასრულებდა, რომ მეუღლეს ორიოდე სიტყვასაც არ ეტყოდა. ზოგჯერ მარგო, გაზეთებში ჩაწოლილ მურთაზს მიუჯდებოდა და ბაასის გაბმას ლამობდა, მაგრამ მას არასოდეს ეცალა. ხან დაირას აიღებდა და მურთაზს გარშემო ჩამოუვლიდა. ხან ესმერალდასავით, ესპანურად აცეკვდებოდა. ხან კიდევ ისეთ გიჟურ ტარანტელას დასცხებდა, რომ მურთაზს თვალი უჭრელდებოდა და თავბრუ ესხმოდა. ცეკვავდა მარგო და ვნებით დნებოდა. ხან ჟინით გიჟდებოდა, ხან იღიმებოდა, ხან სევდით იბურებოდა, ხან კიდევ ისე ინთებოდა, რომ მისი თვალები ოთახში ელვასავით დახტოდნენ. და როცა მეუღლეს ეხვეოდა, ის ჟინიანი ბავშვივით გაიძახოდა:

– მარგო, მომეცი ჩემი გაზეთი! გეყოფა ჩემი წვალება! მომაწოდე გაზეთი და დამშვიდდი!

მაგრამ მარგო ვერ მშვიდდებოდა. ტახტზე წამოწოლილ მურთაზს ხან ნელსაცხებელს მიაპკურებდა, ხან ფეხში ხელს წაავლებდა და სიცილით დაითრევდა, ხან ჩაეკონებოდა და ბურანში გახვეული ქმრის გამოფხიზლებას ლამობდა. მურთაზი კი, ცოლის ცხარე კოცნას უგულო დარიგებით პასუხობდა:

– კარგი, გეყოფა, მოისვენე მარგუში და ჩემი გაზეთი დამიბრუნე!
ჰოდა ბოლოს მარგოც, გაზეთს თავში მიახლიდა, მეორე ოთახში გავარდებოდა და სიმწარის ცრემლებს იწმენდდა. ქვეყნის ბედით დამძიმებულმა მურთაზმა, თანდათან გადააჩვია მარგო ცეკვას, სიმღერას, ანცობას რადგან თურმე, კნეინას ტლინკაობა არა შვენის. ესეც არ იყოს, მარგარიტაც აღარ იყო მაინცა და მაინც ახალგაზრდა.

მარგომაც თანდათან ქმრის ხატზე ლოცვას უკლო და საკუთარ თავის გართობას მიჰყო ხელი. იცვამდა და იხურავდა, სვამდა და ჭამდა, სტუმრად დადიოდა, თვითონაც მასპინძლობდა და არცერთ გასართობს არ აკლდებოდა. გავიდა ხანი და მარგოსაც ყველაფერი მობეზრდა: უხალისო სიცოცხლეც, უცეცხლო მურთაზიც, მისი ნააზრევიც, მისი მოღვაწეობაც, შვილის მოლოდინიც და მომავლის ძიებაც. ბოლოს ისიც, ისე შეურიგდა ამ ყოფას და დაემორჩილა თავის ხვედრს, როგორც ათასობით სხვა ადამიანი.

მხოლოდ რამდენიმე ჩვეულება შეინარჩუნა მარგარიტამ: დღე-ღამეში თხუთმეტი საათი მაინც ეძინა. შიგა და შიგ გამოიღვიძებდა, ლოგინში წამოჯდებოდა, შუქს აანათებდა და ჩაის ლოგინში დალევდა. მერე დაუდევრად ჩაიცვამდა და მთელი დღე ექვს ოთახში, უსაქმოდ დაბორიალობდა. ბოლოს, თავისი თავიც დააჯერა, ვითომ ასეთი სიყვარული და უსისხლო ცოლ-ქმრობა, ამ ქვეყნიური ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო, ხოლო ის გაგიჟება და ცაში ავარდნილი ვნება, რომელიც წიგნებში ჰქონდა წაკითხული, პოეტების მშვენიერი მონაჭორი და მათი ადუღებული ტვინის ბოდვა ეგონა. მარტოდმარტო დარჩენილმა ქალმა, გული გაიცივა და პირზე კლიტე დაიდო. და ეს დუმილი, უფრო შხამიანი და გაუსაძლისი იყო, ვიდრე ლანძღვა-გინება და საყვედური, რადგან იმ ზიზღის შადრევანს ფარავდა, რომელიც ამოხეთქვას ლამობდა.

მალე დროებაც შეიცვალა. ზამთარში ტფილისთან ახლოს, ქართველებსა და საბჭოთა რუსეთს შორის მძიმე და გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა.

ადგილობრივმა რევოლუციურმა კომიტეტმა, დახმარებისთვის საბჭოთა რუსეთს მიმართა. თებერვალში, წითელი არმიის ნაწილები, ბოლშევიკური აჯანყების მხარდასაჭერად საქართველოში შემოიჭრნენ. ისინი ქართულ ძალებს ზურგში მოექცნენ და მძიმე დარტყმა მიაყენეს. ქართველებმა, ტფილისისკენ უწესრიგოდ დაიხიეს. ტფილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლებაც გამოაცხადა.

მურთაზი სიხარულით ცას ეწია, სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა. სამოთხის კარი გაეღო. დღე და ღამე ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა:
– ვაშა თავისუფლებას! რევოლუციას გაუმარჯოს!
და მეათასეჯერ წერდა და კითხულობდა:
”ქვეყანაზე არავის ჰყოლია რუსისთანა ინტელიგენცია. ბედნიერი ხალხია მარად!”

ამბობენ დრონი მეფობენო და დროება ისევ შეიცვალა. მურთაზმაც თანდათან დაინახა და დარწმუნდა, რომ ამდენი ხნის ნანატრი და ნალოლიავები მისი გასართობი, სათამაშო კი არ იყო, არამედ თავისას მოითხოვდა. ის ჯერ გაჩუმდა, შემდეგ გაიტრუნა და ბოლოს აიმრიზა. ხმას აღარ იღებდა და აღარც წითელ ბაირაღს იქნევდა. თან, წითელ ფერს გაურბოდა, შიშისაგან კანკალებდა და სასოწარკვეთილი ჩურჩულებდა:
– გვიშველეთ… დავიღუპეთ…

მაგრამ, მშველელი არსად სჩანდა. განწირული ჩურჩული და გოდება თანდათან მისუსტდა, მიიბნიდა და ბოლოს, სადღაც გაქრა. რევოლუციის გრიგალში, მურთაზის კნავილი ვერავინ გაიგო, ხოლო მისი ამდენი წლის ნაშენები და ნაცოდვილარი წითელმა გოლიათმა ჩაყლაპა.

დაიწყო რეპრესიები. ყველა საეჭვო პიროვნებას ხალხის მტრებს უწოდებდნენ. ამათი დასჯა, დაუყოვნებლივ დაპატიმრებას, გადასახლებას, დახვრეტასაც კი

ითვალისწინებდა. ხალხის მტრებთან ერთად, მათი ოჯახის ყველა წევრიც ისჯებოდა – ბავშვების ჩათვლით. სამოქალაქო უფლებებისა და ქონების ჩამორთმევა ხომ, ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

იმ წელს, ქალაქის თავზე წითელი დროშა რომ აფრიალდა, მარგუშისა და მურთაზის ბინის კარზე, მტკიცე კაკუნი გაისმა. კარი მარგარიტამ გააღო. ოთახში ოთხი შეიარაღებული შავტყავოსანი დაუბანელი შემოვიდა. ვერ გაარჩევდით ვინ ქალი იყო და ვინ კაცი. ამათი ატამანი კი, საოცრად ჰგავდა უპატრონო ქუჩის ძაღლს. მან ბინას თვალი მოავლო, შემდეგ პაპიროსი ჩექმის ლანჩაზე ჩააქრო, ჯიბეში შეინახა და ძაღლისავე ხმით გამოაცხადა:

– ამხანაგებო, შემოკლდით!

მურთაზი და მარგო ექვსიდან, სამ ოთახში გადავიდნენ. იგივე განმეორდა მომავალ წელსაც, ოღონდ ამჯერად ასეთი მოთხოვნით:

– ამხანაგებო, კიდევ ცოტაც!

ახლა იმ დარჩენილი სამიდან, ერთად-ერთ ოთახში შეიკუჭნენ. მარგოს მოთმინების ფიალა აივსო, რომლის ბოლო წვეთიც, ამათი მესამე ვიზიტი იყო:

– ამხანაგებო, აიბარგეთ!

სხვა რა გზა იყო, სოფელში უნდა დაბრუნებულიყვნენ. აი აქ კი, ამოხეთქა მარგარიტადან, ზიზღის იმ შადრევანმა, ის ერთი წვეთი რომ აკლდა:

– როგორც გატყობ, არც კი გესმის რა ხდება!

– მარგუში!

– ყოველთვის სულელი იყავი და შემდეგშიც დარჩები!

– მარგო!

– აჰ, მონ დიო, კესკე ჟე ფე!

– მარგარიტა!

გამწარებულმა მარგომ, ხმაურით გაიხურა კარები. და მათი გზებიც სამუდამოდ გაიყო.

– 3 თავი

ვინ მოგატყუა მკითხველო, თითქოს ამქვეყნად ჭეშმარიტი და მარადიული სიყვარული არ არსებობდეს? ენა უნდა ამოაძრო იმ მატყუარას! მომყევი და მე გიჩვენებ ასეთ სიყვარულს! ასაკთან ერთად, მარგარიტა მართლაც ლამაზი და ჭკვიანი ქალბატონი შეიქნა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ქალი გაიღებდა ყველაფერს იმისათვის, რომ მარგარიტას მდგომარეობისათვის მიეღწია.

შუა ხნის უშვილო მარგარიტა ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ჩინოვნიკის მეუღლე გახდა, რომელსაც დიდი სახელმწიფო მნიშვნელობაც ჰქონდა. იმ დროს ამ კაცის სახელის ხსენებაც კი არ იყო უსაფრთხო. ცხოვრებისაგან დაღლილი მარგარიტა, ჯერ კიდევ ტფილისში გაჰყვა ცოლად ამ კაცს, რომელიც მალევე ძალიან მნიშვნელოვან თანამდებობაზე გადმოიყვანეს, აქ – მოსკოვში. ეს იყო საქმიანი ქორწინება, რომელიც ორივესათვის პირდაპირ ხსნა გახლდათ. იგი აუცილებელად უნდა დაქორწინებულიყო, ვიდრე ამ მაღალ თანამდებობას დაიკავებდა. მარგოსთვის კი იგი, მფარველი ხდებოდა. მათ არც უცდიათ ერთმანეთის გულების მოგება. ერთმანეთსაც კი ვერ ხვდებოდნენ ხეირიანად. მარგარიტაზე უფროსი, სერიოზული, ათლეტური აღნაგობის იგი, გამოირჩეოდა ჭკვიანი თვალებით, ნათელი შუბლითა და გამჭრიახი გონებით. იგი, სამხედრო ფორმას, მოკლე ულვაშსა და ოთხკუთხა სათვალეს ატარებდა.

წყვილი, არბატის ქუჩის ახლოს, ერთ-ერთ ჩიხში მდგარი მშვენიერი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. შესანიშნავი ადგილია! ყველას შეუძლია ამაში დარწმუნდეს, თუკი მოინდომებს: ფრენებიც ხომ აღდგა და სახლიც იქვე დგას, დღესაც. მარგარიტა არასდროს მიჰკარებია ნავთქურას, არც საერთო სამზარეულოში უტრიალია და არც მოახლე აკლდა. მარგარიტას ფულიც ჰქონდა. რასაც მოისურვებდა, ყველაფრის ყიდვაც შეეძლო. მისი ქმრის ნაცნობებს შორის, გავლენიანი ხალხიც ერია. ერთი სიტყვით ის ბედნიერი იყო! ბედნიერი? ვაი რომ, არამც და არამც…

ბედნიერებაზე მას შემდეგ ოცნებობდა, რაც მეჯლისის, იმ ღამით სამუდამოდ გაუჩინარდა. ჰოი, ღმერთებო! მაინც რა ეწადა ამ ქალს? რას დაეძებდა, ერთთავად ამოუცნობი ალით თვალებანთებული, ეს ოდნავ ელამი ალქაჯი? ის პირველი მოსკოვური ზამთარი, ისევ ტანჯვაში გაატარა მარგომ და გაზაფხულიც დადგა. მარგარიტას შუადღისას გაეღვიძა თავის საძინებელ ოთახში, ამ დიდებული სახლის კოშკში რომ იყო მოთავსებული. ახლადგამოღვიძებულს, ტირილი არ დაუწყია, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე. დღეს რატომღაც გული უგრძნობდა, რომ ბოლოს და ბოლოს, რაღაც უნდა მომხდარიყო. სიზმარზე ფიქრობდა, იმ ღამეს რომ იხილა. რაღაც სრულიად უცხო ადგილი ეზმანა – უიმედო, ნაღვლიანი და ადრეული გაზაფხულის მოქუფრული ცით ჩამობურული. ესიზმრა, ჰორიზონტისკენ დაძირული ნაფლეთ-ნაფლეთი რუხი ცა, უხმოდ მფრინავი ჭილყვავთა გუნდი, გადაფერდებული ხიდი. ხიდქვეშ კი, მღვრიე გაზაფხულის მდინარე, უსიხარულო, დაგლახებული, ნახევრად ტიტველი ხეები, ეული ვერხვი, უფრო იქით კი, ხეებს შორის, რაღაც ჯებირის მიღმა – ფიცრული შენობა, გამოცალკევებული სამზარეულო, აბანო თუ, ეშმაკმა უწყის, რა? ყველაფერი უსიცოცხლო იყო და ისეთი გულის გამაწვრილებელი, რომ იქვე, ხიდთან მდგარ, იმ ვერხვზე მოგინდებოდათ თავის ჩამოხრჩობა. ნიავი არ ქროდა, ღრუბელი არ იძვროდა. მოკლედ, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. უცებ, ამ ფიცრული შენობის კარი გაიღო და იქიდან ვიღაც უცნობი გამოვიდა. საკმაოდ შორს იყო, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანდა. დაკონკილი სამოსი ეცვა, ვერც გაარჩევდით ტანსაცმელს, თმა აწეწილი ჰქონდა, სახე – გაუპარსავი, თვალები ანთებული და შეშინებული. მერე მარგოს ხელი დაუქნია, რომელშიც თაიგული ეჭირა და მკვდარი ჰაერით სულშეხუთული მარგარიტაც, მისკენ რომ უნდა გაქცეულიყო, სწორედ მაშინ გაეღვიძა.

წინათგრძნობით გამხნევებულმა მარგომაც გადაწყვიტა, ნახატზე აკტრისას რომ ეპყრა, ისეთი ყვავილები ეყიდა და სასეირნოდ წასულიყო, ივდრე მას არ შეხვდებოდა. სწამდა რომ ასე, აუცილებლად იპოვნიდა ბედნიერებას.

– მწამს! – შთაგონებით ჩურჩულებდა მარგარიტა – რაღაც მოხდება! შეუძლებელია, არ მოხდეს. რატომ უნდა მომესაჯოს საუკუნო წამება? განა შეიძლება ასე მკაცრად ადამიანის დასჯა? ამას გარდა, სიზმარი არ მომატყუებს. მე ამის მჯერა!

ასე ჩურჩულებდა მარგარიტა და მზით განათებულ, საძინებლის მეწამულ ფარდებს გაასცქეროდა. აღელვებული იცვამდა და სარკის წინ მოკლედ დახვეულ თმას ივარცხნიდა. ბოლოს საზაფხულო პალტო ჩაიცვა და წასვლა დააპირა, რომ მოახლემ – მშვენიერმა ნატაშამ ჰკითხა:

– სადილად რა მოგიმზადოთ?

– სულერთია.

ნატაშამ კი, უფრო საკუთარი თავის გასართობად, საუბარი გაუბა ქალბატონს.

– წარმოგიდგენიათ, გუშინ თეატრში ვიღაც შავი მაგიის პროფესორს ისეთი ამბები დაუტრიალებია, ყველას გაოცებისაგან პირი დაუღია.

– მართლა?

– თურმე მაყურებელს, უცხოური სუნამო და წინდა უფასოდ დაურიგა. სეანსის დამთავრების შემდეგ კი, როცა ისინი ქუჩაში გამოვიდნენ, უეცრად ყველა შიშველი აღმოჩნდა.

ამის გაგონებაზე, მარგარიტა სიცილით დაეშვა სკამზე და თან მოახლეს ტუქსავდა:

– ნატაშა, როგორ არ გრცხვენია! ნაკითხი, ჭკვიანი გოგო ხარ და იმდენი არ იცი, რომ ხალხი ათასგვარ სისულელეს ლაპარაკობს?

ნატაშას ლოყები აეფაკლა და გულმოდგინედ მოჰყვა თავის მართლებას:

– დღეს, საკუთარი თვალით ვნახე არბატზე, ერთი ქალი შემოვიდა გასტრონომში, ცხადია, ფეხსაცმელი ეცვა. მაგრამ, როგორც კი ფულის გადასახდელად მივიდა სალაროსთან, ფეხსაცმელი ფეხებიდან გაუქრა და წინდის ამარა დარჩა. ლამის თვალები გადმოსცვივდა იმ ქალს, წინდაზე გამოხეული ქუსლიც რომ დაინახა. ჯადოსნური ფეხსაცმელი ეცვა, იმ სეანსზე ნაჩუქარი.

– და ასე წავიდა?

– დიახ, დიახ! – წამოიძახა ნატაშამ და უფრო აელანძა სახე, ეწყინა, რომ არ უჯერებდნენ – გუშინ, მილიციამ ასი კაცი მაინც დააკავა, ამ სეანსიდან გამოსული.

ქალები, თურმე საცვლების ამარა დარბოდნენ ქუჩაში.

– ეჭვი არ მეპარება – დაამშვიდა მარგარიტამ და ისევ საძინებელში შებრუნდა, იქიდან წინდა და ოდეკოლონი გამოიტანა და ნატაშას უთხრა:

– მეც მინდა ერთი ფოკუსი გაჩვენო – ოდეკოლონი და წინდა აჩუქა და დაამატა:

– ოღონდ პირობა მომეცი, რომ სხვებივით წინდების ამარა არ ირბენ ქუჩაში.

კმაყოფილმა მოახლემ, ქალბატონი გადაკოცნა და მარგარიტაც ქუჩაში გამოვიდა.

ცოტა ხანში, ავტობუსის სავარძლის ზურგს მიყრდნობილი მარგო, არბატზე მიჰქროდა და თავის სადარდელზე ფიქრობდა. მის წინა სკამზე, ორი მოქალაქე იმაზე ჩურჩულებდა, რომ ვიღაც მიცვალებულს, ვისი სახელიც არ უხსენებიათ, დღეს დილით კუბოდან, თურმე თავი მოჰპარეს! ბოლოს მარგარიტას, მობეზრდა კუბოდან მოპარულ თავზე ჩურჩულის მოსმენა და გაუხარდა კიდეც, ჩასვლის დრო რომ დადგა.

კიდევ ცოტაც და მას ის ამაზრზენი, ყვითელი ყვავილები მოჰქონდა, რომლის სახელიც არავინ უწყის და რომლებიც ცეცხლის ენებივით იკვეთებოდნენ მისი შავი პალტოს ფონზე. ბოლოს, ჩიხში რომ უნდა შეეხვია – მოიხედა. იმ დღეს ათასი კაცი მაინც იყო ქუჩაში, მაგრამ მან მხოლოდ ის უცნობი დაინახა. და მარგარიტა, გააოცა მის თვალებში ჩაძირულმა უსაზღვრო სევდამ გააოცა.

ყვითელ ნიშანს დამორჩილებულმა უცნობმაც, ჩიხში შეუხვია და ქალს ფეხდაფეხ მიჰყვა. ასე მიაბიჯებდნენ უსიტყვოდ: ერთი ერთ, მეორე კი – მეორე მხარეს. უცებ თვითონ მარგარიტა შედგა და ამ სიტყვებით კაცისკენ შემობრუნდა:

– მოგწონთ ჩემი ყვავილები?

ეს ხმა, დაბლად და მთრთოლვარედ გაისმა და მისი ექო თითქოს ჩიხის ჭუჭყიან კედლებს შეასკდა. კაცმა სწრაფად გადაჭრა ქუჩა, მიუახლოვდა და უპასუხა:

– არა.

ქალმა გაოცებულმა შეხედა და სრულიად მოულოდნელად იგრძნო, რომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ ეს მამაკაცი უყვარდა!

– თქვენ, საერთოდ არ გიყვართ ყვავილები? – ჰკითხა, ბოლოს.

– მიყვარს, მაგრამ ასეთი – არა.

– მაშ, როგორი?

– ვარდები, ოღონდ ალისფერი.

მარგარიტამ დამნაშავესავით გაიღიმა და ყვავილები საწვიმარ არხში მოისროლა. კაცმა თაიგული აიღო, შემდეგ ქალს, ხელი მკლავში გაუყარა და გვერდით გაჰყვა. მათ წინ, უეცრად სიყვარული გადაეღობათ, როგორც გადაგეღობება ხოლმე დაგვიანებულ მგზავრს – მკვლელი და ორივე სასიკვდილოდ განგმირა, როგორც ელვამ თუ ფინურმა დანამ.

უცნობი, ვიწრო და ბნელ ოთახში ცხოვრობდა, რომელიც კიბის ქვეშ იყო მოთავსებული. სინამდვილეში, ეს საერთოდ არ იყო ოთახი, არამედ – საკუჭნაო კიბის ქვეშ, რომელიც უფრო პატარა და ვიწრო ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. და მარგარიტას კიდევ ერთხელ, გაახსენდა სახლი. ჩაბნელებულ ოთახში, წითელი ხის გაქუცულ ავეჯი, მაგიდა საათით – ყოველ ნახევარ საათში რომ რეკავდა, იატაკიდან ჭერამდე ასვეტილი წიგნის თაროები და შეშის ღუმელი იდგა.

ისინი ისე საუბრობდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ და მხოლოდ გუშინ დაშორდნენ ერთმანეთს. მარგარიტა ირწმუნებოდა რომ, ყვავილები იმიტომ მოჰქონდა, ბოლოს და ბოლოს რომ მიეგნო მისთვის და თუ ვერ იპოვნიდა მას, თავს მოიწამლავდა, იმდენად უაზრო იყო მისი სიცოცხლე. უცნობი კი არწმუნებდა, რომ მართალია მათ ერთი-მეორე არასდროს ენახათ, მაგრამ ყოველთვის უყვარდათ ერთმანეთი. ბოლოს შეთანხმდნენ, მეორე დღეს ისევ ამ სარდაფში შეხვედროდნენ ერთმანეთს, რომლის სარკმლის წინაც, ობოლი იასამანი ირხეოდა და თავისი სურნელით, თავბრუს ახვევდა შეყვარებულებს.

– 2 თავი

მაგრამ ეს ცხოვრება, ასე ადვილად გაახარებს ადამიანს? მეორე დღეს, ეს ამბავი

არცერთს აღარ ახსოვდა რადგან, დილით ხალხმა თავზარდამცემი ამბავი გაიგო – გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ომის დაწყებამ მარგარიტას დიდი უბედურება მოუტანა: პირველსავე დღეს მისი მეუღლე ფრონტის მოწინავე ხაზზე გაემგზავრა, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ფრონტიდან, აღარც უცნობი დაბრუნებულა. მარგარიტა კი იმავე ზაფხულს, სხვებთან ერთად, სასწრაფოდ ევაკუაციაში გაემგზავრა, მოსკოვიდან აღმოსავლეთით მდებარე, ერთ პატარა პროვინცულ ქალაქში, რომელსაც პეტუშკები ეწოდება.

სინამდვილეში ეს იყო დიდი სოფელი. როცა შენდებოდა, ეტყობა, ადამიანზე არავინ ფიქრობდა. ის იდგა მოსწორებულ, დატკეპნილ ალაგს. სახლები ისეთივე იყო, როგორიც ყველგან: პატარა და უბადრუკი იერსახის. აქაც იგივე ხელი იგრძნობოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ მეტი სივრცე, მეტი ფული და მეტი დრო მისცემოდათ შიშისმომგვრელი დეკორაციების ხორცშესასხმელად. ქალაქის მთელი ცენტრი, პროვინციულ ეზოებს წარმოადგენდა. მავთულებზე სარეცხი შრებოდა. დედები თავიანთ ჩვილებს ძუძუს, პირდაპირ ქუჩაში აწოვებდნენ. ღარიბული მაღაზიების ფართო, ცარიელი ვიტრინები საცოდავად გამოიყურებოდა. ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართო სივრცეს, ხალხი მოჩვენებებივით მიუყვებოდა. ომმა ყველა გაათანაბრა, მდიდარიცა და ღარიბიც. ყველას, ერთნაირი ძველი ტანსაცმელი ეცვა და გაქუცული, უხარისხო ფეხსაცმელი. აქ არავის არსად ეჩქარებოდა – თითქოს დროს ანაწილებდნენ სასიცოცხლოდ. თავიდან მარგოს უკვირდა, ქუჩებში ძაღლები რომ არ ჩანდნენ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, იქ ტრამვაის გაჩერებაზე ჩამომჯდარი მიხვდა, რომ მაშინ მათ ჭამდნენ.

ახალი განსაცდელი მარგარიტას ძალებს აღემატებოდა, მისი ცხოვრების სურვილი დღითიდღე სუსტდებოდა. ის დანაზოგი, რაც თან ჰქონდა, მხოლოდ პირველ წელს ეყო. სამსახურის შოვნა კი, შეუძლებელი იყო. განცხადებას განცხადებაზე წერდა სადაც, საპნისა და ნავთის სანაცვლოდ, ნებისმიერ სამუშაოზე იყო თანახმა. მაგრამ მას, არავინ პასუხობდა. ბოლოს, ადგილობრივი მილიციის უფროსის

სახლში, ერთი ოთახი გამოუყვეს, სადაც ჭამის სანაცვლოდ ის დიასახლისს, რეცხვაში ეხმარებოდა.

მისი ხელებიდან, თანდათან ბეჭდებიც გაჰქრა და ისინი, გაუთავებელი ბინძური შრომით გაჩენილმა წყლულებმა შეცვალა. რამდენად გასაოცარიც არ უნდა ჩანდეს, ერთადერთი გასართობი აქ, სამოქალაქო თავდაცვის მეცადინეობასა და ანტიქიმიური წვრთნების კურსებზე დასწრება იყო. ამ დროს მარგარიტა, უნებურად უკავშირდებოდა ხოლმე, გაზის საწინააღმდეგო ნიღაბს, რომელიც თავზე უნდა გადაიცვა. ასეთ წუთებში ის თითქოს უჩინარდებოდა და მასთან ერთად ყველანაირი შიშიც ქრებოდა.

როცა ქალაქში ამდენი გაშიშვლებულ ხეს უცქერდა, სულ გაზაფხულის მოლოდინში იყო, მაგრამ ხშირი წვიმები რომ გადაებმებოდნენ ერთმანეთს, ეჩვენებოდა რომ გაზაფხული აღარასოდეს მოვა, თითქოს მისი ცხოვრებიდან წელიწადის ეს დრო ვიღაცამ ამოეგლიჯა, როგორც იქ – ალპების ჩრდილში. ზამთრის სუსხს კი, წინასწარ შეგუებული იყო და ასე, ყოველწლიურად კვდებოდა ხოლმე მასში რაღაც, როცა ფოთლები იწყებედნენ ცვენას და გამხმარი ტოტები ქარში ირხეოდნენ.

ზამთარიც მოვიდა. შიმშილსა და სხვა უბედურებას, ზედ გაყინვის საფრთხეც დაერთო. სამარესავით გაყინულ საწოლში, თითქოს სიზმრებმაც კი მიატოვეს. და ერთხელ, მაინც ნახა: ვითომ ქოხის შუაგულში უსულოდ წევს. უცებ, სამარისებური სიჩუმე კარის გაბმულმა ჭრიალმა დაარღვია და ოთახში, სანთლებით ხელში პატარა ადამიანები შემოვიდნენ. მარგოს გარს შემოერტყნენ, თასმები შეუხსნეს, თმაც დავარცხეს, წყალიც აპკურეს, მაგრამ არაფერმა უშველა – საბრალო მარგარიტა გაშეშებული იწვა და არ ინძრეოდა. რაღას იზამდნენ. ჩამოსხდნენ ირგვლივ და დაიწყეს ტირილი. ასე დასტიროდნენ ცხარე ცრემლით მარგოს. მერე დასაფლავება გადაწყვიტეს, მაგრამ ვერ გაიმეტეს – ასეთი მშვენიერება მიწაში როგორ ჩავაწვინოთო! ბოლოს, სადღაციდან ბროლის კუბო

მოიტანეს და ჩაასვენეს შიგ. ფიცარზე კი ოქროს ასოებით დააწერეს “ლა ღენ მარგო” და დაადეს გულზე. დიდხანს იწვა ასე, კუბოში საბრალო მარგარიტა, გეგონებოდათ ძინავსო. უნდოდა რაიმე ეთქვა, მაგრამ ახსოვდა რომ მკვდარია და ვერაფერს ამბობდა. ბოლოს თვითონაც ატირდა, თან რაც უფრო აკვირდებოდა მგლოვიარეებს უფრო ნათლად ხედავდა, რომ ერთს თითქოს იასონის სახე აქვს, მეორეს – ტრიფონის, მესამეს – მხატვარის, მეოთხეს – მურთაზის, მეხუთეს – ჟაკოსი, მეექვსეს – იგის, მეშვიდეს – უცნობის.

ასეთ ტანჯვაში განვლო ომიანობის წლებმა. დასასრული ყველაფერს აქვსო, ამბობენ და ომიც დასრულდა. ოთხი წელიწადი იყო, რაც ის ევაკუაციაში იმყოფებოდა. ოთხი წელიწადი! იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ბეწვის ხიდია, სიბნელესა და სინათლეს შუა, ბედისაგან გადებული. ო, საშინელო ოთხო წელიწადო, ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი, ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია.

იმასაც ამბობენ: ომი დასრულდა, მშვიდობის გეშინოდეთო და ამ მშვიდობამ ახალი უბედურება მოუტანა მარგარიტას. დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა. რეპრესიები ხორციელდებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც ომის შემდეგ წითელმა არმიამ გაანთავისუფლა. ეს რეპრსიები, ზოგიერთ ომის გმირს და მათი ოჯახის წევრებსაც კი შეეხო. გავრცელდა ჭორი, რომ მარგოს მსგავს – უცხოური წარმოშობის ადამიანებს მოსკოვიდან გადაასახლებენ და რომ, მისთვის აჯობებს ნებაყოფლობით დაბრუნდეს სამშობლოში. დიდი წვალების შემდეგ მარგარიტამაც, მეუღლის გავლენიანი ნაცნობების დახმარებით, საზღვარგარეთული პასპორტიც მიიღო და ბოლოს რეპატრიაციაშიც მოხვდა.

– 1 თავი

ღმერთო, რა სევდიანია დიდი ხნის უნახავი, ნაცნობი ქუჩები. რაოდენ იდუმალია

აქ რძისფერი ნისლი. ვისაც ამ ნისლში უბორიალია, ვისაც ბევრი უტანჯია, ვისაც ოცნებებში უფრენია, უსაშველო ტვირთით დამძიმებულს, მან უწყის მხოლოდ.

ომის დროს მარსელს, თავისი საპორტო ინფრასტრუქტურის გამო, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა შეეძინა, ამიტომაც განეცადა მას ჯერ ნაცისტური გერმანიის მხრიდან საშინელი დაბომბვა, შემდეგ კი იტალიელი ფაშისტებისაგან განადგურება, მას შემდეგ რაც ისინი გერმანიის მხარეს ჩაებნენ ომში. პირველი დაბომბვის შემდეგ პორტი მთლიანად განადგურებულიყო. მეორე დაბომბვას კი, თან მოჰყოლოდა, ქალაქთან ახლომდებარე სხვა დასახლებების განადგურებაც. რათქმაუნდა, არც მარგოს სოფელი გადარჩენილიყო და მათი ძველი სახლიც მიწასთან იყო გასწორებული. ეზოში აღარცერთი ხე აღარ გადარჩენილიყო. მხოლოდ ნასახლარის ადგილას, თავისით ია ამოსულიყო. მარგარიტას წინ ახლადაყვავებული, ტურფა ია იღიმოდა. თითქოს ამბობდა:
”სიცოცხლე სამოთხე ნუ გგონია, ფრთხილად იყავი, თავს უშველეო.”
კარგა ხანს იდგა ასე მარგარიტა, უყურებდა მხიარულ, მზიან ყვავილს და არ სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი ცხადში მომხდარიყო.

მარგარიტაც დაუნანებლად ტოვებდა, წარსულის ბურუსს და თავის დარჩენილ მომავალს ეგებებოდა. და მიჰქროდა იქ, სადაც სახლები ვარსკვლავებს ებჯინებიან, მიწა კი ზეცას. დიდ და ბედნიერ პარიზს სილაღე დაჰბედებოდა, მას კი კაეშანი და სევდა. ქალაქში დაისის ბოლო სხივებთან ერთად ჩამოვიდა. ღამის ბულვარში, მხოლოდ წყვილების ვნებიანი ჩურჩული ისმოდა. წაბლის ხის ქვეშ ის სულ მარტო იყო. გულში როსტანის ლექსს იმეორებდა და ალპები აგონდებდა. პარიზი უცხო გამხდარიყო, როგორც ის პორტრეტი, სევდიანი და ნაზი მზერით, როგორიც რეიხშტადტის ჰერცოგსა და სარას ჰქონდათ. აქ, ამ ბედნიერ და უცხო პარიზში, ღრუბლები და ბალახიც კი შავად ეჩვენებოდა.

და რადგან შვილი არ ეღირსა, გადაწყვიტა დარჩენილი ცხოვრება სხვისი შვილებისთვის მიეძღვნა. ბოლო ორი წლის მანძილზე, რამდენიმე ოჯახი

გამოიცვალა: ბუა დე ბულონიდან – ბასტილიამდე, ობსერვატორიიდან – მონმარტრამდე, მაგრამ ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა, სანამ ბოლოს ლანლერებთან არ აღმოჩნდა.

აქ მარგარიტას, აღსაზრდელად პატარა და-ძმა მიაბარეს: ფანი და ალექსი, ორი არაჩვეულებრივი ბავშვი, რომელთა ცქერაც აძლევდა აზრს მარგარიტას ახლანდელ ყოფას. და, ცოტა უფროსი იყო ძმაზე, რომელთაც ძალიან უყვარდათ თავიანთი აღმზრდელი. მარგო მათ წერა-კითხვას, სიმღერას, ცეკვას და უცხო ენებსაც ასწავლიდა. ბოლოს, თავის შესაქცევად თვითონაც დაიწყო დღიურების წერა. არ ვიცი, რამდენად კარგი საქმეა მოხუცი მოახლის დღიურის კითხვა, მაგრამ რაც არის – არის:

” 14 სექტემბერს, 3 საათზე, თბილ, ნაცრისფერ და წვიმიან ამინდში შევედი ჩემს ახალ ოჯახში. საქმე ”ლე ფიგაროში” განცხადებით და დიასახლისთან პირადი შეხვედრის გარეშე მოგვარდა. გავცვალეთ წერილები და მეტი არაფერი: საეჭვო მეთოდია და სიურპრიზების მოლოდინიც ორივე მხრიდან რეალურია.
30 სექტემბერი. რა არ მინახავს ამ ხნის განმავლობაში, რა პირობები, სახეები, ცოდვილი სულები! ამდენი არაჩვეულებრივი განსაცდელის შემდეგ, სიურპრიზის მოლოდინი მაინც არ მტოვებს.
8 ოქტომბერი. მართალია დიასახლისის წერილები კარგად არის დაწერილი, მაგრამ ისინი მაინც ავლენენ მის წვრილმან და საეჭვო ხასიათს. არ ვიცი დიასახლისი ძუნწია თუ არა.
2 ნოემბერი. მთელი ჩემი სიღარიბის მიუხედავად, მეტი გემოვნება მაქვს, ვიდრე ლანლერებს. ესპანურ პარფიუმერირებულ კარგ ქაღალდზე ვწერ, ხან ვარდისფერზე, ხანაც – ცისფერზე.
12 ნოემბერი. აქაურობა ცოტა მაშინებს და ჩემს თავს ვეკითხები, რა მელოდება წინ? სინანულისა და წუხილის გარეშე მგონია, რომ ასე ნაჩქარევად დავიმარხები აქ.
29 ნოემბერი. ვინც წარმატებულია, წესიერ ადამიანზე ქორწინდება ან მოხუც

კაცთან მეგობრობს. მაგრამ რამდენია წარუმატებლობისთვის განწირული, ან სიღარიბეში ჩავარდნილი.
11 დეკემბერი. ვერ დამივიწყებია ის ამბავი, წინა ოჯახში რომ ვმსახურობდი, თუმცა რაღაც უხამსი და საშინელიც კია. აქაც კი არ მინდა ამის გახსენება.
25 დეკემბერი. კიდევ ერთი წელი მოაკლდა ჩემს დარჩენილ ცხოვრებას, მაგრამ ამ დღიურში არაფერზე გაჩუმებას არ ვაპირებ: არც საკუთარ თავზე და არც სხვაზე.“

მარგარიტას გარდა სახლში კიდევ ორი მოახლე იყო: მოხუცი აფრიკელი ტომი და მისი მეუღლე ქლოა, რომლებიც ლანლერების სახლის გვერდით, ერთ პატარა ქოხში ცხოვრობდნენ. კაცი მებაღე იყო, მისი ცოლი კი საუკეთესო მზარეულად ითვლებოდა, ისეთ ჩინებულ საჭმელებს ამზადებდა. სახლის წინ, პატარა ბაღი იყო. რას არ ნახავდით აქ: ნაირფერ ყვავილებსა თუ ხეხილს. ყველაფერი კოხტად გახლდათ მოვლილი. მცენარეები კი, პირდაპირ ქოხს ეკვროდნენ და ზედ ეხვეოდნენ. როცა ბავშვებს ეძინათ, მარგოს უყვარდა ხოლმე მათთან ჩაიზე შემოხედვა.

დაიწყო ზამთრის პირველი წვიმები და პარიზი ერთბაშად სევდამ მოიცვა. თავისუფალ დღეებში, ლანლერების სახლიდან გამოსულს შეეძლო, ლუქსემბურგის ბაღი გადაეჭრა და ჟე დე პომში შესულიყო. აქ დიდებული ნახატები იყო გამოფენილი, რომელთა უმრავლესობა შემდეგ ლუვრში გადაიტანეს.

კარგ ამინდში, სენის ერთ-ერთი ტოტის გადაღმა, სადაც ვიწრო ქუჩებით დასერილი კუნძული სენ-ლუი მდებარეობს, რომელზეც ძველი, მაღალი, ლამაზი სახლები დგას – შეეძლო გასეირნება. მარცხნივ თუ გაუხვევდა და სანაპიროს გაჰყვებოდა, ნოტრ დამის წინ აღმოჩნდებოდა. ეს ხომ ის ადგილია სადაც, ოდესღაც ესმერალდა ცეკვავდა, ჯალისთან ერთად. ტაძრის საიდუმლო სენასკის სარკმელიდან კი, მათ თვალს მღვდელი ადევნებდა. ხოლო უფრო ზემოთ, სამრეკვლოდან – ურჩხული.

სანაპიროზე ბუკინისტებთან, ზოგჯერ სულ რამდენიმე ფრანკად იყიდდა ძველ წიგნებს. მერე ჟაკობის ქუჩაზე ვიტრინებს ათვალიერებდა, სადაც ჭურჭელი და ავეჯი იყო გამოფენილი. ბოლოს რესტორან "მიშოს" წინ ყავას დალევდა. ოდესღაც აქ, თავის ოჯახთან ერთად სადილობდა თვალახვეული მწერალი. ცოლ-ქმარი კედელთან იჯდა. მათ წინ კი, უკან თმაგადავარცხნილი, პატარა გამხდარი ბიჭი და ასევე პატარა, ლამაზი გოგონა – ხშირი ხუჭუჭა თმებით. ყველანი იტალიურად ლაპარაკობდნენ და სანამ მწერალი ცალი თვალით, მაღლა აწეულ მენიუს გასცქეროდა, ბავშვები მაგიდის შუაგულში დადგმულ, პატარა შავ ობელისკს ათვალიერებდნენ, რომელიც თითქოს სინათლეს არ ირეკლავდა. და როცა უკანა გზაზე მომავალი მარგარიტა, სენას გასცქეროდა თითქოს მარტოობასაც აღარ გრძნობდა.

ზაფხულს შემოდგომა ცვლიდა, ზამთარს – გაზაფხული და ასე გარბოდნენ წლები. მარგარიტა, სულ უფრო და უფრო იშვიათად ტოვებდა ხოლმე ლანლერების სახლს. ახლა ის, ცხოვრებას თითქოს გაზეთებიდან ადევნებდა თვალ-ყურს, როგორც ერთ დროს მურთაზი, რომელზეც უკვე აღარ ბრაზობდა და ეცოდებოდა კიდეც. გაზეთებიც, ერთთავად მოსაბეზრებელ ამბებს ყვებოდნენ: ოქროს ახალგაზრდობის რევოლუციურ განწყობებზე, ფრანგული კოლონიების დამოუკიდებლობაზე, მთვარეზე ადამიანის გადასხდომაზე, კვებეკის საკითხზე, ბიტლომანიის დასასრულზე, ცივი ომის საფრთხესა თუ პრეზიდენტის გადადგომაზე.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, როცა ფოსტალიონმა გაზეთები ისევ მოიტანა, მარგარიტას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მათი კითხვისათვის თავი დაენებებინა. ფოსტალიონი გაისტუმრა, სამზარეულოში დაბრუნდა და გაზეთები მაგიდაზე დაყარა. საუზმობას აპირებდა, მაგრამ მაგიდაზე გაფანტული პირველივე გაზეთის პირველივე გვერდზე, რაღაც ძალიან ნაცნობს მოჰკრა თვალი. წინსაფრის ჯიბიდან სათვალე ამოიღო, თვალზე მოირგო და ადგილზე გაქვავდა. ისეთი გრძნობა

დაეუფლა, თითქოს სარკეში იყურებოდა და მასში თავის წარსულს ხედავდა. ბოლოს როგორც იქნა ხელში გაზეთი აიღო და სკამზე ჩამოჯდა. თვალებს არ უჯერებდა – გაზეთის პირველ გვერდზე, მარცხენა დაბალ ვიწრო და მოგრძო სვეტში კონკია იყო გამოსახული: გაქონილი ქვედაბოლოთი, დაკემსილი წინდებით, გაცვეთილი ქალამნებითა და იმ ამაზრზენი ყვითელი ყვავილებით, რომლის სახელიც არავინ უწყის. ნახატს კი, აი ეს ტექსტი მოსდევდა:

” საბჭოთა მხატვრის გამოფენა პარიზში!
6 მარტს, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში
(რივოლის ქუჩა N 109), საზეიმოდ გაიხსნება
თვითნასწავლი საბჭოთა მხატვრის, ნიკო
პიროსმანაჩვილის პერსონალური გამოფენა.
მას საფრანგეთის კულტურის
მინისტრი ანდრე მალრო გახსნის.
გახსნას დაესწრებიან საფრანგეთის
საგარეო საქმეთა მინისტრი
მიშელ დებრი, გამოფენის ინიციატორი
ლუი არაგონი, საბჭოთა კავშირის საგარეო
საქმეთა მინისტრი ნიკოლაი გრომიკო
და სხვები. გამოფენა ერთ თვეს გასტანს.
ჟან მულენი.”

ასჯერ მაინც გადაიკითხა ეს ტექსტი, თითქოს უნდა ზეპირად ისწავლოსო. 6 მარტამდე კი, მთელი საუკუნე იყო დარჩენილი, მაგრამ დრო ხომ ულმობელია: დედამიწაზე ყველა საათიც რომ გააჩეროთ, მას ხომ მაინც ვერ შეაჩერებთ?! გამოფენის მოლოდინში განვლო, მარგარიტას დარჩენილი ცხოვრების იმ რამდენიმე უსასრულო დღემ.

6 მარტს ნაშუადღევს, ის მუზეუმში, ნახატის წინ იდგა და თვალს არ აშორებდა

სურათს. ეს ნახატი განადგურებული ეგულებოდა და რამდენადაც უფრო დარწმუნებული იყო ამაში, იმდენად არ უჯერებდა თვალებს. მთელს დარბაზში თვალებით ეძებდა ოსტატს, რომელიც არსად ჩანდა. ანკი, საიდან უნდა გამოჩენილიყო? ან რა იცოდა მარგომ, რომ ის დიდი ხნის გარდაცვლილა და ამ დრომდე, არც მისი დაბადების და არც გარდაცვალების ჩანაწერი არ არის ნაპოვნი და რომ, მისი საფლავიც კი დღემდე უცნობია.

ასეა თუ ისე, ნახატს მიჯაჭვული მარგარიტაც თითქოს ოსტატს ესაუბრებოდა, ოღონდ მხოლოდ აზრობრივად, უსიტყვოდ. უცნაური ის იყო, რომ მხატვარს თავის თავში გრძნობდა, თავის თავს კი – ნახატში და თითქოს იქედან ესაუბრებოდა თავის თავს, რომელშიც ოსტატი ცოცხლობდა. სულაც არ ბრაზობდა და გრძნობდა, რომ ის დღე საუკეთესოა მის ცხოვრებაში და იქნებ ამ დღისთვისაც იყო გამზადებული მისთვის, მთელი ეს "ოდისეა".

"აღარ გიყვარვარ? აბა როგორ დამხატე? განა ასე ხატავენ საყვარელ ქალს? ეს რა ნაოჭებია? რატომ ჩამაცვი ჭრელი წინდები? სად ნახე ისინი? ან ეს რა არის, ფეხებია თუ ზოლიანი მუთაქები? ხელები რაღას გამაშლევინე ასე სულელურად, თითქოს ძაღლებს ვასეირნებდე და ერთი აქეთ მექაჩებოდეს და მეორე იქით? თანაც მე მცივა, გესმის?! ამ მინდორში რომ დამხატე და მხრებგაშიშვლებული დამაყენე ამ ქარში, ნეტავ რას ფიქრობდი? შალი ვერ მომახურე? დაგენანა თუ დაგავიწყდა? ან ეს ყვავილები რაღაა? ვინმემ მაინც თუ უწყის მათი სახელი? ალისფერი ვარდები ვერ დამაჭერინე? ყვავილების მეტი რა მინახავს? მაგრამ შენი "ვარდები" ვერ დავინახე – ალბათ ტაშმა დამაყრუა და იმიტომ... ნეტავ სულაც არ შეგეხედა ჩემთვის და სულაც არ გამკარებოდი..."

საგამოფენო დარბაზის დახურვის დროც მოახლოვდა. მარგარიტა ერთბაშად სევდამ მოიცვა. გარეთ გამოვიდა და ქუჩას ფეხით გაუყვა. მიდიოდა და მაღალი, თეთრი სახლების ზემო სართულებს ვეღარ ხედავდა. ჩანდა მხოლოდ ნაწვიმარი ქუჩების შავი სისველე, პატარა მაღაზიების, აფთიაქებისა და ჯიხურების

გამოკეტილი კარებები, ნაკლებად ცნობილი კომპანიების აბრები და სასტუმროს წარწერაც, სადაც ოდესღაც ვერლენი მომკვდარიყო. ტრამვაის გაჩერებამდე ფეხით მივიდა და სკამზე ჩამოჯდა.

ის, აქ სულ მარტო იყო. გრძნობდა რომ ის, რაც ახლა ხდება, უკვე მომხდარა წარსულში. თითქოს უკვე გამოუცდია ცხოვრებაში ეს რაღაც და ის უბრალოდ მოგონებას კი არ ჰგავს, არამედ თითქოს ისევ წინაა. ეს არ ჰგავდა წინასწარმეტყველებას, არამედ უფრო, მეხსიერების შეშფოთებას, რომელიც აქამდე უცნობ გრძნობებს გამოეწვია. ამას ისიც ამყარებდა, რომ მოგონებების განცდა ისეთი მძაფრი იყო, რომ შეუძლებელია ის შეწყდარიყო და მომავალშიც არ გაგრძელებულიყო.

დაისის ბოლო სხივებიც ჩაქრა. ოდნავ შესამჩნევად გაწვიმდა. მოხუცმა ფეხებში სიცივე იგრძნო და მუხლებზე დაიხედა. ნათლად ხედავდა გაქონილ ქვედაბოლოს, დაკემსილ წინდებს, გაცვეთილ ქალამნებსა და იმ ამაზრზენ ყვითელ ყვავილებს, რომელთა სახელიც არავინ უწყის. მოსასხამის საყელო აიწია, თავი უკან გადასწია და სკამის ზურგს მიეყრდნო. მერე თვალები დახუჭა, თაიგული აიღო და დაყნოსა. ბოლოს, ყვავილები გულზე მიიხუტა და სულ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა…

ეპილოგი

მაშ ასე ძვირფასო მკითხველო, მე დავამთავრე – საქმე ვქმენ საჭოჭმანები. წიგნზე ”ჯახირისას” მალი-მალ ვესესხებოდი ხოლმე მაინ რიდის, ჯეიმს ჯოისის, მიხეილ ჯავახიშვილის, გაბრიაძის, ერგემლიძის, კოროსტილევის, ბულგაკოვისა და სხვათა ნაწერებს. მადლობას ვუხდი ამ მწერლებსა და მათ გმირებს, იმისათვის რომ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიმიძღოდნენ ამ ოდისეაში. იმედი მაქვს, რომ გახდით ოდნავ უკეთესი, ვიდრე იყავით. მე კი, არნახული სიამოვნება განვიცადე, ჩემი საყვარელი ავტორების გადაკითხვისას, რაც ნამდვილად ღირდა ამ ”წვალებად”. ახლა კი, ნება მიბოძთ დაგემშვიდობოთ…

ISBN-978-9941-0-2703-1

მამუკა © მაღულარია

რედაქტორი: ირმა თოფურია

მხატვარი: ირაკლი მაღულარია

გამომცემლობა ”ლეონარდო”

climmarr@gmail.com

თბილისი, 2023 წ.